

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

**სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით შექმნილი
სატენდერო კომისიის სხდომის**

ოქმი №1

10 ივნისი, 2016 წელი
ქ. ზუგდიდი (რუსთაველის ქ. №90)

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

ედიშერ თოლორაია _ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

სატენდერო კომისიის წევრები

ლაშა გოგია _ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

თენგიზ შანავა _ ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

ნანი მიქენაია _ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

თენგიზ ქობალია _ ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის
სამსახურის უფროსი;

რუსლან კილასონია _ ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის
სამსახურის უფროსი;

ჯაბა არდია _ მშენებლობის სამსახურის უფროსი;

ლერი დოჩია _ სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი.

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები

ბესიკ ქარდავა _ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი;

აქსანა გუჩუა _ იურიდიული განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის შემადგენლობის უმრავლესობით _ რვა წევრის
დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოირემეს ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზის
(კვ.19+20-დან კვ.24+00-მდე) სარეაბილიტაციო სამუშაოების (მეორე ეტაპი) სახელმწიფო შესყიდვის
განხორციელების მიზნით ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო
დოკუმენტაციის განხილვა-დამტკიცება.

მოისმინეს: სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე სატენდერო კომისიის თავმჯდომარის
ე. თოლორაიას ინფორმაცია და კომისიას განსახილველად ელექტრონული ტენდერის ჩატარების
განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია წარუდგინა.









სხდომის მსვლელობა: სატენდერო კომისიამ განიხილა სატენდერო განცხადებისა და სატენდერო
დოკუმენტაციის პროექტები. დაადგინა ტექნიკური დავალების მონაცემები, საკვალიფიკაციო
მოთხოვნები, ხელშეკრულების პირობები და პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი სატენდერო
წინადადების ფორმები. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 129924 (ასოდაცხრა ათას ცხრაას
ოცდაოთხი) ლარით.

კომისიამ გადაწყვიტა: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის
შესაბამისად დამტკიცდეს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოირემეს ადმინისტრაციულ ერთეულში
საავტომობილო გზის (კვ.19+20-დან კვ.24+00-მდე) სარეაბილიტაციო სამუშაოების (მეორე ეტაპი)



შესყიდვაზე წარმოდგენილი განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია (ტენდერის ჩატარების განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია თან ერთვის).

დაველოს სატენდერო კომისიის აპარატს: უზრუნველყოს ტენდერის ჩატარების თაობაზე განცხადების განთავსება და სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).

კომისიის წევრები:

- | | | | | | | |
|----|---|--------------|----------------|----|--|---------------|
| 1. |  | ე. თოლორაია | (თავმჯდომარე). | 6. |  | რ. კილასონია. |
| 2. |  | ლ. გოგია. | | 7. |  | ჯ. არდია. |
| 3. |  | მ. შანავა. | | 8. |  | ლ. დოჩია. |
| 4. |  | ნ. მიქენაია. | | | | |
| 5. |  | თ. ქობალია. | | | | |

კომისიის აპარატის წევრები:

- | | | |
|----|---|-------------|
| 1. |  | ბ. ქარდავა. |
| 2. |  | ა. გუჩუა. |